





ცენტრალური კავკასიის მთიანეთის უძველესი მოსახლეობის ეთნოკულტურული ისტორიიდან

პაატა ბუხრაშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი


უხსოვარი დროიდან, საცხოვრისი, რომელიც თავის მხრივ, გარკვეული სისხლისმიერი სოციალური ერთობის, ანუ ოჯახის ყოფის ერთგვარი მატერიალიზებული გამოხატულებაც იყო, მრავალ სხვა პრაქტიკულ ფუნქციასთან ერთად, ამ ერთობის იდეურ მთლიანობასაც განასახიერებდა; იგი მთლიანი და განუყოფელი ოჯახის სულიერ სიმბოლოს და ერთგვარ „ტაძრსაც“ კი წარმოადგენდა.



ოჯახური კულტმსახურების კვალი დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, არქეოლოგიურად შესწავლილ საცხოვრებელ კომპლექსებში, ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში (VI-V ასწლეულები ქრისტემდე) დასტურდება. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა „ხრამის დიდი გორა“-ს ნამოსახლარზე დადასტურებული „სარიტუალო“ კერები, რომლებშიც ნაცართან ერთად აღმოჩნდა მსხვერპლად შეწირული წვრილფეხა საქონლის (ცხვრის) ძვლები, მცირე ზომის იარაღები, თიხის ოვალური „კვერები“ და რაც ერთობ საგულისხმოა, თიხისავე ანთროპომორფული ქანდაკებები .



ცენტრალურ ამიერკავკასიაში, შემდგომი პერიოდის მტკვარ-არაქსის კულტურის საცხოვრისებში უმნიშვნელოვანეს ადგილს წარმოადგენდა ცენტრალური კერა, დედაბოძი და მათი მიმდგომი გარემო. ამ მხრივ, განსაკუთრებული დანიშნულების ჩანს, კერის უკან, კედლის გასწვრივ გამართული შემალღება . ამ შემალღების რიტუალურ და საკულტო დანიშნულებას ადასტურებს მისი კარნიზის შემკობა-მოხატვაც (გუდაბერტყა, ციხიაგორა, ქვაცხელა) და ყოველდღიური ყოფისათვის უსარგებლო, უჩვეულო ფორმის ე.წ. „ნაცრის ნაძერწობები“; აქ სხვადასხვა ჭურჭლის და გადასატანი კერების ან მათი იმიტაციების საგანგებოდ - საზედაშეოდ დაწყობა . როგორც ირკვევა, თითოეული ასეთი საცხოვრებელი სახლი ამავე დროს „შინაურ“ სამლოცველოსაც წარმოადგენდა.



ოჯახის მფარველ ანგელოზს, „ფუძის ანგელოზს“, საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ცნობილმა ქართველმა ეთნოგრაფმა, ბ-მა მიხეილ ჩართოლანმა . მან, შეისწავლა სვანურ ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული სახლის კერპი და გაარკვია, რომ მისი სახელი - „ჩხუდანი“, ჯერ კიდევ უძველეს ხანებიდან ქართველურ ენებში, წინარექრისტიანული ხანის ოჯახური ღვთაების გამოსახულების აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო. ხოლო, რაც შეეხება სიტყვა - „კერპი“-ს (გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ეს სიტყვა, ჩვენში, ფალაურიდან უნდა იყოს შემოსული - „Karp“ = ფორმა, ფიგურა, გარეგნობა; შედ. ახ. ქართული კ ე რ პ ი, ჯიუტი, შეუსმენელი), იგი ამ ფორმით გამოყენებული იყო მხოლოდ წერილობით წყაროებში .




აღსანიშნავია, რომ ამდაგვარი ოჯახს კერპების არსებობა, არქეოლოგიურად, დადასტურებულია ცენტრალური კავკასიის მთიანეთის უძველესი მოსახლეობის ყოფაშიც. ამ მხრივ, ერთობ საყურადღებოა უკანასკნელ ხანებში, დიგორში (დღ. ჩრდ. ოსეთის მთიანეთი - რაჭა-სვანეთის მიმდებარე რეგიონი) ა. მოშინსკის მიერ არქეოლოგიურად შესწავლილი საუარის ნამოსახლარი .


საუარის ნამოსახლარი დღეისთვის წარმოადგენს ყობანური კულტურის მატარებელი ტომების ერთადერთ, გეგმიური გათხრების შედეგად მეცნიერულად შესწავლილ ნამოსახლარს, რომელიც იძლევა მეტად საყურადღებო ინფორმაციას ცენტრალურ კავკასიაში, ქრისტემდე პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შესახებ. აქ, ე.წ. „კოლხურ - ყობანური კულტურის“ მატარებელ ხალხს უცხოვრია, კულტურისა, რომელიც ქრისტემდე XII-IV ს.ს-ში იყო გავრცელებული ცენტრალურ კავკასიის მთიანეთსა და მის მიმდგომ მხარეებში. ნამოსახლარი განეკუთვნება ამ კულტურის გვიან ეტაპს და მეტად საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლია. საუარის ნამოსახლარი, გამთხრელთა აზრით, იმ პერიოდის სახელოსნო დასახლებას წარმოადგენდა, სადაც მეთუნეებსა და მჭედლებს უცხოვრიათ.



საუარის (დიგორი) ნამოსახლარი




საუარის ნამოსახლარზე გამოვლინდა რამოდენიმე საკულტო სათავსოც, რომელთაგან ერთ-ერთში (III სათავსო) აღმართული იყო ქვის კერპი. იგი წარმოადგენს მიწაში ვერტიკალურად ჩასმულ მოგრძო და მოხრილ ქვას. მის გვერდით დადასტურდა ორი - შავი და თეთრის ფერის ქვებით გამართული სამსხვერპლოც. საყურადღებოა, აგრეთვე ისიც, რომ სამლოცველოში დადასტურდა, ქვებით მორკალური მცირე ავზიც, რომლის ძირზეც შინაური ცხოველის (ციკანი) ძვლები დაფიქსირდა. ეს ავზი მოგვაგონებს ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიულ ყოფაში, კერძოდ კი ლაშარის ჯვარში (ფშავი) დაფიქსირებულ „სისხლის საქუჩარს“, რომლის პირზეც იკვლის ზვარაკიც. სამსხვერპლო სისხლიც სწორედ ამ „საქუჩარში“ ჩაედინება. თავად ვერტიკალურად მდგარი, წაგრძელებულ-მორკალური კერპი კი სვანთა ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულ-შესწავლილი ჩხუდანის მსგავს კერპი უნდა იყოს.



ისმის კითხვა: რამდენად შესაძლებელია ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფში დადასტურებული ელემენტების დაკავშირება მასთან გეოგრაფიულად და ქრონოლოგიურად ასე დაშორებულ არქეოლოგიურ კულტურაში (მხედველობაში გვაქვს საუარის „კოლხურ-ყოზანური“ კულტურის ნამოსახლარი დღ. ჩრდ. ოსეთში) დადასტურებულ არტეფაქტებთან? ხომ არ გამორიცხავს ამგვარ მიდგომას ანთროპოლოგიური, არქეოლოგიური, ლინგვისტური თუ სხვა მონაცემები?

ჩვენის აზრით, ამგვარი პარალელების გავლება სავსებით შესაძლებელია და აი რატომ:
 1. კონკრეტულ შემთხვევაში, რომ გეოგრაფიული ფაქტორი აქ ხელისშემშლელი ვერ იქნება, ვფიქრობთ საკმათო არ არის; რადგანაც უძველესი ხანებიდანვე (მეზოლითიდან განსაკუთრებით) კავკასიის მთიანეთის მთავარი ქედი და მისი გადასასვლელები ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას კი არ თიშავდა და აშორიშორებიდა, არამედ უფრო აახლოვებდა და აკავშირებდა ერთიმეორესთან.





2. რაც შეეხება ფიზიკურ ანთროპოლოგიურ მონაცემებს. აი რას წერს ცნობილი მეცნიერი, რუსული ანთროპოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი ვ.ვ. ალექსეევი იმ რეგიონის (დიგორის) მოსახლეობის შესახებ - „ოსები წარმოადგენენ ცენტრალური კავკასიაში უმველესი დროიდან მცხოვრებ ადგილობრივ ეთნიკურ ჯგუფთა მემკვიდრეებს. ის მდგომარეობა, რომ ეს ანთროპოლოგიური (კავკასიონური) ტიპი ძირითადად წარმოდგენილია ქართველური, ნახური და ავრულ-ანდიურ-დიდოური ენობრივი ოჯახით (იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახი), ადასტურებს იმას, რომ ამჟამინდელი ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი ენობრივი ჯგუფები ადრე მეტყველებდნენ ერთ-ერთ ადგილობრივ, ამ იბერიულ-კავკასიურ, ენათა ოჯახში შემავალ ენაზე. თანამედროვე ოსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ადგილობრივი მოსახლეობის მორფოლოგიური სხვაობა ალანებისგან, სპეციფიური სხვადასხვაობა სარმატებთანაც, არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ ოსთა წინაპრები ირანულენოვანი ხალხები იყვნენ. ერთადერთი დამაჯერებელი ახსნა თანამედროვე ოსურის ირანულენოვანებისა არის ის, რომ ალბათ, ისტორიის ერთ-ერთ მონაკვეთზე, ადგილობრივი კავკასიურ მოსახლე ტომს შეუცვლია მშობლიური ენა და მულია მოსულ ალანთა ირანულენოვანი მეტყველება. როდის მოხდა ეს ენობრივი ცვლილებები, ამის გარკვევა ენათმეცნიერთა საქმეა. ვარაუდის სახით კი უნდა ითქვას, რომ ეს ცვლილება ადრე შუა საუკუნეებში, კავკასიაში ალანური მოსახლეობის გამოჩენისა და მათი გამლიერების შემდეგ უნდა მომხდარიყო. ოსების წინაპრების – ადგილობრივ კავკასიურ ენაზე მოლაპარაკე ტომების გადასვლა სხვა, მოსული მოსახლეობის ენაზე არა არის ერთადერთი შემთხვევა ჩრდილო კავკასიაში. ანალოგიურ შემთხვევასთან გავაქვს საქმე ყარაჩაელებთან და ბალყარელებთანაც, რომლებიც ამჟამად თურქმანულ ენაზე საუბრობენ; ანთროპოლოგიურად კი ისინი ტიპიური კავკასიონური ტიპის წარმომადგენლები არიან. ამრიგად, მათთანაც უნდა ვივარაუდოთ ის, რაც ვივარაუდეთ თანამედროვე ოსებთან მიმართებაში – ალბათ, თანამედროვე ბალყარელთა და ყარაჩაელთა წინაპრებიც ადრე საუბრობდნენ კავკასურ ენებზე და შემდგომში, შუა საუკუნეებში თურქთა მოძალეების შედეგად შეიცვალეს მშობლიური ენა და ამეტყველდნენ თურქმანულ ენაზე.“ (Историческая антропология и этногенез. – М., Наука, 1989. – 446 с.)



3. საუბრობს რა არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით ქრისტემდე II-I ათასწლეულის მიჯნაზე ცენტრალურ კავკასიაში მოსახლე ტომთა კულტურისა და ყოფის შესახებ, ე.ი კრუპნოვი აღნიშნავს - „ამ პერიოდისათვის ჩრდილო კავკასიაში არსებობდა სამი თავისთავადი არქეოლოგიური კულტურა: მის ცენტრალურ ნაწილში - ყობანური, აღმოსავლეთ ჩეჩნეთსა და დაღესტანში - ყაიაქენტ-ხარაჩოული და ყუბანზე - ყუპნისპირული კულტურები. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კი ამ პერიოდში ჰყვავდა მძლავრი კოლხური კულტურა. ყველა ეს კულტურები ასახავდნენ მხოლოდ ადგილობრივ თავისებურებებს ერთიანი საერთოკავკასიური ეთნიკური მასივისას, რომელიც წარმოადგენდა საფუძველს ერთიანი კავკასიური, ანუ იბერიულ-კავკასიური ენობრივი ოჯახისა .

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ყობანურ კულტურასა და კოლხურ კულტურას შორის ბევრი მკვლევარის (ბ. კუფტინი, ა. იესენი, ი. მეშჩანინოვი, მ. ივაშჩენკო, ე. გოგაძე...), მიერ შეინიშნება მთელი რიგი გენეტიკური ხასიათის მსგავსებანი, რაც ამ ავტორებს კოლხური და ყობანური კულტურის იგივეობასაც კი აფიქრებინებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხედულებას არ იზიარებს არქეოლოგთა მეორე ნაწილი (ე. კრუპნოვი, ო. ჯაფარიძე, ბ. ტეხოვი...), ისინი მაინც ვერანაირად გვერდს ვერ უვლიან გვიანბრინჯაო – ადრერკინის ხანაში (განსაკუთრებით ქრისტემდე II-I ათასწლეულების მიჯნა) ცენტრალურ და სამხრეთ კავკასიური არქეოლოგიური კულტურების შორის ეთნოგენეტიკურად საერთოწარმომავლობითი მძლავრი ფონის არსებობას, რის დასტურადაც ე.ი. კრუპნოვის სათაო ნაშრომიდან ზემოთმოყვანილი ციტატაც კმარა.

საუარის დასახლებაზე მცხოვრები მოსახლეობის განვითარებული სულიერი კულტურის დამადასტურებელია, აგრეთვე აქ, ერთ-ერთ სათავსოში გამოვლენილი კლასიკური მეანდრის ტიპის ორნამენტიც, რომელიც ქურის ძირის შელესილობაზეა შესრულებული. ეს გარემოება, როგორც ამას თავად ძეგლის გამთხრელი ა. მოშინსკი ვარაუდობს, ხაზს უნდა უსვამდეს მის საკულტო ფუნქციას.

ეს ორნამენტი, თავის ფაქტურით (შესრულებულია თიხის ნალესობაზე) და განთავსების ადგილით (ქურის - კერის პირი), ძალზე მოგვაგონებს ამ ცოტა ხნის წინ შიდა ქართლში, სამთავისის მახლობლად, გრაკლიანის მრავალფენიან ნამოსახლაზე აღმოჩენილ კერის პირის ნალესობას, რომელზეც გამოსახული ნიშნებიც, ქართველი მეცნიერების ერთი ნაწილის მიერ დამწერლობის ნიმუშად არის მიჩნეული. რამდენად მართებულია ეს მოსაზრება, ამას მომავალი კვლევა დაადგენს, ხოლო ის, რომ ამ მხრივ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია, ეს უდაოა.



გრაკლიანი გორა — წარმოადგენს მრავალფენიან ნამოსახლარს და სამაროვანს. აღმოჩენილი მასალა მიეკუთვნება სხვადასხვა პერიოდს პალეოლითიდან ძვ.წ. II-I საუკუნეებამდე, როდესაც გრაკლიან გორაზე ადამიანის აქტივობა უნდა დასრულებულიყო.


ნამოსახლარზე განსაკუთრებით მძლავრია გვიანბრიჯაო-ადრერკინის ხანის ფენები, საიდანაც აღებული ორგანული ნიმუშები მაიამის ლაბორატორიამ ძვ. წ. XI-X საუკუნეებით თარიღდება და იგი საუარის ნამოსახლარის თანადროულია .




ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, გრაკლიანის მრავალფენიანი ნამოსახლარის მიდამოებში, რამდენიმე საყურადღებო არქეოლოგიური ნივთია აღმოჩენილი, რომლებიც ამ მხარეში, ადრე რკინის ხანაში - ქრისტემდე XI-VI ს.ს-ში, განვითარებული სამეურნო - კულტურული ტიპის საფუძველზე ჩამოყალიბებული მძლავრი სამოსახლოს არსებობას ადასტურებს.

მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია -

ა) სამლოცველოს მოდელი
გამდლისწყაროდან





ბ) სარიტუალო ცული
ზემო რენედან





მსგავსი ნამოსახლარები შესწავლილია ცენტრალური ქართლის სხვა მხარეებშიც.

● ხოვლეს ნამოსახლარი



● სამთავროს ნამოსახლარი



განსაკუთრების საყურადღებოა ბრილის (ზემო რაჭა) სამაროვანი

1939 - 1961 წლებში არქეოლოგიურმა გათხრებმა (მიმდინარეობდა ხანგამოშვებით, ხელმძღვანელი გ.გობეჯიშვილი) გამოავლინა ნამოსახლარები და სამაროვნები. მეტალურგიის წარმოების ნაშთები შუა ბრინჯაოს ხანიდან ანტიკური ხანის დასასრულამდე (ძვ.წ. XVIII—ახ.წ. IV სს.). ორმოსამარხებსა და ქვაყუთებში (ძვ.წ. XVIII - ახ.წ. IV სს.) კიდურებმოკვეცილი თითო ან ორ-ორი მიცვალებული იყო ჩასვენებული.

აღსანიშნავია ლითონის მხატვრული ნაწარმი: ცხვრის თავის სტილიზებული გამოსახულებებით შემკული ცულები, წყვილი დათვის ქანდაკება და სხვა. ძვ.წ. XIII - ძვ.წ. VIII საუკუნეებში სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს კოლხური ცულები, ფართოქედიანი სატევრები, სწორკუთხა აბზინდები, ხვეული სამაჯურები, საკისრე რგოლები, ნამგალი, თოხი, ლითონისა და თიხის ჭურჭელი, ვერძის ქანდაკებები, ძაღლის ქანდაკება და გველის გამოსახულებანი. ვრილის მოსახლეობა ცხოვრობდა ქვის შენობებში. მისდევდა მესაქონლეობას, სპილენძის მოპოვება-დამუშავებას. მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული კავშირი ჰქონდა ახალნდელი დიგორის, ზემო იმერეთის, შიდა ქართლის ჩრდილოეთ ზოლის და თრიალეთის მოსახლეობასთან.



არქეოლოგიური მონაცემებით დადასტურებულია, რომ ბრინჯაოს ხანაში, კოლხეთის მთიანეთსა (მთის რაჭა, მდ. რიონის სათავეები და მდ. ჭანჭახის შუა წელი) ჩრდილო კავკასიის რეგიონების (დიგორი, ბალყარეთი) მოსახლეობას შორის მჭიდრო კონტაქტები ხორციელდებოდა ცენტრალური კავკასიონის ქედის უღელტეხილებზე გამავალი საკომუნიკაციო გზების მეშვეობით. ყველაფერ ამას საფუძვლად ედო აქაური მოსახლეობის ლითონმომპოვებელი საქმიანობა, რაც გაპირობებული იყო აქ არსებული სპილენძისა და ანთიმონის მდიდარი საბადოების არსებობით.




ბერლინის (გერმანია) წინარე და ძველი ისტორიის მუზეუმში დაცულია კავკასიის სიმკვლეტა ცნობილი კოლექციები. ერთ-ერთი ასეთი კოლექციის შემადგენელი ნივთები მოპოვებულია ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში (1882-1902 წლებში) ცნობილი მკვლევარის, რუდოლფ ვირხოვის მიერ. ამ ნივთების დიდი ნაწილი მოძიებულია ოსეთში, კერძოდ კი სოფ. ყემბულთასთან (ზემო რუთხა) და სოფ. ღალიათთან (ფასკაუ) აღმოჩენილი სამარხების გაწმენდის შედეგად. რუდოლფ ვირხოვმა ეს ნივთები შეიძინა ვაჭარ კოსსნიერსკას ქვრივისაგან, ადელაიდა კოსსნიერსკასაგან. გამომდინარე აქედან ამ კოლექციამ „კოსსნიერსკას კოლექციის“ სახელი მიიღო.



ქრონოლოგიურად „კოსსნიერსკას კოლექცია” მოიცავს ნივთებს ენეოლოთიდან სკვითურ-სარმატულ ხანამდე.

რამდენადაც XIX საუკუნის ბოლოსათვის არქეოლოგიური გათხრები დილეტანტურ დონეზე, სათანადო მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვისა და დოკუმენტაციის გარეშე ტარდებოდა, იმდენად „კოსსნიერსკას” კოლექციაში თავმოყრილი ნივთების დალაგება სამარხეულ კომპლექსებად სრულიად შეუძლებელია.

აქ მხოლოდ მოსახერხებელია იმის გარკვევა თუ რომელ სამაროვანზეა ესა თუ ის ნივთი მოძიებული. ამ კოლექციის 1000-მდე ექსპონატი დალაგებულია შემდეგ ჯგუფებად: ცულები, კვერთხები, სატევრები და მახვილები, შუბისპირები, ბალთები, მშვილდსაკინძები, საკიდები, ბეჭდები, სამაჯურები, ანთროპომორფული და ზოომორფული ფიგურები და სხვა.





ამ მასალის ანალიზის საფუძველზე, დრ. ინგო მოტცენბეკერი შემდეგ დასკვნებს აკეთებს - იმ ადგილების მახლობლად, საიდანაც მომდინარეობს „კოსსნიერსკას“ კოლექციაში შემავალი ნივთები, უნდა არსებულიყო ადგილობრივი სახელოსნო ცენტრი, სადაც მზადდებოდა კიდევ ეს ნაკეთობები, რომელთა თვითმყოფადი ფორმები მხოლოდ ამ მხარისთვისაა დამახასიათებელი; თანაც ეს სახელოსნო მარაგდებოდა ადგილობრივი (როგორც ეს ანალიზმა აჩვენა) რაჭა-დიგორის სპილენძის საბადოდან.


ის გარემოება, რომ ზემო რუთხის სამარხეულ მასალებში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი მინიატურულ-პლასტიკური ნიმუშები, მეტყველებენ იმაზე, რომ იქვე, სამაროვანის ახლო-მახლო, უნდა ყოფილიყო გვიანი ბრინჯაოს ხანის სამლოცველოც.

აღნიშნულ კოლექციაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რამდენიმე ნივთი, რომლებიც მოხსენიებულია სამშვენისების სახელწოდებით.




კერძოდ კი გამოყოფილია სამი სახის სამაგრი – ფირფიტსამაგრი, სპირალ-ფირფიტსამაგრი და ფარშევენგის-ბოლოსებრი სამაგრი.

მეტად საყურადღებოა, ამ სამაგრების ზომები. ეს ნაკეთობანი საკმაოდ მოზრდილი (ზომები მერყეობს 45 – 65 სმ ფარგლებში) ნივთებია და ამდენად, მათ მიჩნევა სამკაულ-აქსესუარებად, ვფიქრობ, გაჭირდება; სამკაულად და სამშვენისად მათი გამოყენება უბრალოდ მოუხელთებელია სიდიდისა გამო.

ის რომ ეს ნივთები საკულტო დანიშნულებისაა, ამაზე თავად ნაშრომის ავტორი ამახვილებს ყურადღებას.




ეს ნაკეთობანი საკმაოდ მოზრდილი (ზომები მერყეობს 45 – 65 სმ ფარგლებში) ნივთებია და ამდენად, მათ მიჩნევა სამკაულ-აქსესუარებად, ვფიქრობ, გაჭირდება.




ჩვენც სწორედ ამ ნივთებს გვინდა მივაპყროთ მკითხველის ყურადღება. როდესაც, ბერლინში ყოფნის დროს, ხსენებული საგნები დავათველიერათ, მეყსეულად გაგვიჩნდა ვარაუდი – ხომ არ არის ეს ე.წ. სამაგრები ისეთივე „დროშები“ და ხევისბრის ინსიგნიები, რომლებიც მრავლადაა დაფიქსირებული აღმ. საქართველოში მოძიებულ ეთნოგრაფიულ მასალებში? მითუმეტეს, რომ აღნიშნული კოლექციის საფუძველზე ნავარაუდევია სამლოცველოს არსებობა ნივთების მოძიების რეგიონში.




ხატის დროშები და
ხევისბრის
ინსიგნიები
დადასტურებული
ეთნოგრაფიულ
ყოფაში




ხევისბრის კვერთხი?



ხატის დროშა?



უძველესი ხანებიდან იმ რეგიონში, საიდანაც მომდინარეობს ბერლინის მუზეუმში დაცული „კოსსნიერსკას“ კოლექციაში შემავალი ნივთები, სრულიად ნათლად გამოკვეთილი თვითმყოფადი, საერთოკავკასიური ეთნო-კულტურული ფონი. თავის მხრივ კი, ეს გარემოება, ჩვენის აზრით, ნამდვილად იძლევა იმის საფუძველს, რომ თამამად გავავლოთ პარალელები დღევანდელ ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულ და ხსენებულ კოლექციაში დაცულ არტეფაქტებს შორის. გამომდინარე აქედან, „კოსსნიერსკას“ კოლექციაში სამაგრებად მიჩნეული ნივთები უძველეს „ხატ-სალოცავთა“ დროშის და „ხევისბერთა“ ინსიგნიების თავსამაგრებად უნდა მივიჩნიოთ.



მთის რაჭას, რომელიც ზემო რაჭის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და, ისტორიული წყაროების მიხედვით, მთიულეთი ეწოდებოდა (ამ კუთხის რაჭველები დღესაც თავიანთ თავს "მთიულებს" ეძახიან).

ვ.თოფურია რაჭულში ოთხ ერთეულს გამოყოფს: რივნისთაური - ღები-ჭიორას მეტყველება, გლოლური, ზემორაჭული და ქვემორაჭული.

ეთნოლიგვისტების (მაგ. პროფ. ქევენ თუითი), ქსნისა და არაგვის ხეობის მთიულურ კილოსა და ზემო რაჭის გლოლურ კილოს შორის ტიპოლოგიური ერთიანობა შეინიშნება.



გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, როგორც ეს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის ანალიზით ირკვევა, ცენტრალურ კავკასიის უძველეს მოსახლეობას, ადრეული ხანებიდანვე საერთო წარმომავლობით და მსგავსი სამურნეო - კულტურული ტიპებით გაპირობებული საზოგადოებრივ - ყოფითი აგებულება ახასიათებდა.

იგი სათავეს იღებდა ოჯახური კულტმსახურებიდან რაც, საერთოკავკასიურ სივრცეში, გამოკვეთილად ჯერ კიდევ ენეოლით-ადრე ბრინჯაოს ხანებიდან დასტურდება.

გმადლობთ ყურადღებისთვის